<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მერაბ ნიქაბაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მერაბ ნიქაბაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე





მერაბ ნიქაბაძე

(1959-1993)

ზემდეგი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა თბილისში. 1959 წლის 7 სექტემბერს. 1966-1976 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 140-ე საშუალო სკოლაში. 1978-1980 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1981 წელს დაოჯახდა. 1981 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა გამომცემლობა ,,ნაკადულ"-ში.

1985 წლიდან მუშაობდა ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკაში.

1991 წელს მონაწილეობას ღებულობდა სამაჩაბლოში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში.

1992 წლის 3 სექტემბერს შევიდა ,,ავღანელთა" ბატალიონში. მონაწილეობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც ასრულებდა დანაყოფი.

1993 წლის აგვისტოს თვიდან მსახურობდა უშიშროების სისტემაში.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმში, მინისტრთა საბჭოს შენობის აღების დროს დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

2005 წლის 25 ნოემბერს ზემდეგი მერაბ ნიქაბაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

19/03212499-03 ×

განცხადების ნომერი: 19/03212499-03

განცხადების თარიღი: 06.09.2021 12:17

პასუხის გაცემის ვადა(აშ თარიღამდე ვადის ფარგლებშია): 7 ოქტ. 2021

დოკუმენტის სტატუსი: დამუშავების პროცესში - ვადაგადაცილებული

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

1	ვალერიანი მჭედლიშვილი	40001002413	ქ.თბილისი, ფონიჭალა, საშხეთრო ქალაქი, კ.23, ბ.13

არჩეული ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო / თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის შინაარსი

მოთხოვნის აღწერა *

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარეობს რამოდენიმე უსახელო ქუჩა სადაც ცხოვრობს უკვე მოსახლეობა ან უახლოეს მომავალში დაიწყებს ბინადრობას, რადგანაც ამ უსახელო ქუჩებს არ აქვს შინიჭებული სახელები ამის გამო ამ მიმდინარე პანდემიის გამო გაძნელებულია საფოსტო და სხვა მომსახურებების მიღება, გთხოვთ გაანიხილოთ აღნიშნული საკითხი და შესაბამ ფაილში ნაჩვენები უსახელო ქუჩებს მიანიჭოთ დასახელებები. სასურველია რომ ქუჩებს შიენიჭოს

1) ფილოსოფოსი ლერი მჭედლიშვილის , 2) აფხაზეთში მებრძოლი ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენოსანი შერაბ ნიქ[illegible]ძეს, 3) აფხაზეთში მებრძოლი ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენოსანი ბადრი ჟვანიას, 4) აფხაზეთში დაღუპული პარლამენტის დეპუტატი ვახტანგ გორგასლის 1

თანდართული ფაილ(ებ)ი

ფაილ[illegible]ბრება

[1] tempsnip.png